თემატური ჯგუფი - ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში ანგარიში

2012 წელი

აპრილი - ოქტომბერი

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

1. აქტივობის დასახელება

თემატური ჯგუფის (ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში) საქმიანობა

2. პერიოდი/თარიღი

2012 წლის აპრილი-ოქტომბერი

3. ჯგუფის ხელმძღვანელი/ფასილიტატორი დაწესებულება/

მარინა ჟვანია/განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

4. მაკოორდინირებელი ორგანოები

ეროვნული პროფესიული საბჭო/განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

5. ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეები

დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები, პროფესიული კავშირები, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

6. აქტივობის მიზანი

თემატური სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბებითა და ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან მისი საქმიანობის კოორდინაციით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობას, ჯგუფის ფუნქციონირების სპეციფიური მიზანია VET SPSP პროგრამის განხორციელების მონიტორინგი.

7. აქტივობის შედეგი/შედეგები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობას. ხარისხის მართვის თემატური ჯგუფი შექმნილია ეროვნული პროფესიული საბჭოს ფორმატში. 2012 წლის აპრილ-ოქტომბერის პერიოდში თემატური სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში, ჯგუფის უშუალო ჩართულობით (კონკრეტული პროექტების და ცვლილებების განხილვა, რეკომენდაციების შემუშავება) განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- ეროვნული ცენტრი მონაწილეობდა ETF-ის პროექტში ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში”, პროექტის რეკომენდაციებით მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო და პროგრამების მომზადების გზამკვლევი;
- თვითშეფასების პროცედურის ფარგლებში ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიენიჭათ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების უფლება;
- მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 2012 წლის თვითშეფასების ანალიზი;
- მომზადდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების არსებული პოლიტიკის ანალიზი;
- განხორციელდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის მართვის მექანიზმებისა და პროცედურების შესწავლა;

- თემატური ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით მიმდინარეობს კონსულტაციების გაწევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის პროფესიულ სტანდარტზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მიმართულებით;
- მიმდინარეობდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ჩაერთო ETF-ის და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივ პროექტში "პროფესიული განათლების პროგრამების (სტანდარტები და კურიკულუმი) განვითარების მხარდაჭერა საქართველოში";
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ჩაერთო პროექტის - **„საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ხარისხის გაუმჯობესებისა და რესურსების განვითარების მხარდაჭერის პროგრამა“** - განხორციელებაში;
- სტუდენტებისა და პოტენციური სტუდენტებისათვის სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობების მიზნით შესწავლილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების (შპს "შავნაბადა", შპს "დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-კოლეჯი") გამოცდილება;

ხორციელდებოდა თემატური ჯგუფის მიერ აღნიშნულ საკითხებზე მომზადებული წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა ეროვნულ პროფესიულ საბჭოზე განსახილველად. კერძოდ, საბჭოს განსახილველად წარედგინა შემდეგი საკითხები/დოკუმენტები:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 2012 წლის თვითშეფასების ანალიზი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო და პროგრამების მომზადების გზამკვლევი;
- პროექტის -**„პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამების (სტანდარტები და სასწავლო პროგრამები) შექმნაში დახმარება“** - ფარგლებში შემუშავებული პროფესიული სტანდარტის ჩარჩო;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სისტემის შეფასებისა და რეკომენდაციების დოკუმენტი.

აქტივობის დეტალური აღწერა

1. ***მონაწილეები***

ჯგუფში 20 წევრია (დანართი - თემატური ჯგუფის განახლებული შემადგენლობა).

2. ***აქტივობის ფასილიტატორები/კოორდინატორები***

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტი/ეროვნული პროფესიული საბჭო.

3. ***აქტივობის შინაარსისა და ძირითადი საკითხების აღწერა***

პროფესიული განათლების ხარისხისა და კვალიფიკაციის სისტემის განვითარების მიზნით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2010 წლიდან ფუნქციონირებს თემატური სამუშაო ჯგუფები და დარგობრივი კომიტეტები დამსაქმებლების, პროფესიული გაერთიანებების (ასოციაციები, კავშირები და სხვ.), სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლების, უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მონაწილეობით. 2012 წლის აპრილ-ოქტომბრის პერიოდში ჩატარდა თემატური ჯგუფის - ხარისხის განვითარება პროფესიულ განათლებაში 7 (აქედან 3 გაერთიანებული) სხდომა. სხდომებზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

- ETF-ის პროექტის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება საქართველოში" შედეგები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სარეკომენდაციო ჩარჩო და პროგრამების მომზადების გზამკვლევის საბოლოო ვერსიები;
- პროექტის -**„პროფესიული განათლებისა და ტრენინგის პროგრამების (სტანდარტები და სასწავლო პროგრამები) შექმნაში დახმარება“** - ფარგლებში შემუშავებული პროფესიული სტანდარტის ჩარჩო;
- პროექტის - **„საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში ხარისხის გაუმჯობესებისა და რესურსების განვითარების მხარდაჭერის პროგრამა“** - ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონიძიებების შესახებ ინფორმაცია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 2012 წლის თვითშეფასების ანალიზი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების არსებული პოლიტიკის ანალიზი;
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის სისტემის შეფასებისა და რეკომენდაციების დოკუმენტი;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შედეგები;
- პროფესიულ განათლებაში მიმდინარე პროცესების თაობაზე ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით დაინტერესებული პირებისათვის (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები, დამსაქმებლები, პროფესიული კავშირები, ასოციაციები, სტუდენტები, მასწავლებლები) სამიტის ორგანიზება.

4. მიზნის მიღწევის ხარისხი

თემატური ჯგუფის აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისა და მათი განხორციელების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვის, მონიტორინგისა და სრულყოფის პროცესები. ჯგუფის უშუალო კოორდინაციით ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისა (ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი) და მომხმარებლების ინფორმირებულობის გაზრდას. ეროვნულ პროფესიულ საბჭოს სისტემატურად მიეწოდება თემატური სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული წინადადებები და რეკომენდაციები.

5. ამოცანებისა და მიზნების მიღწევის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები

თემატური ჯგუფის წარმატებულ მუშაობას ხელი შეუწყო ჯგუფის წევრების აქტივობამ და განსახილველი საკითხებისადმი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებამ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნულ პროფესიულ საბჭოსთან სწორმა კოორდინაციამ.

6. აქტივობის საერთო შეფასება და რეკომენდაციები

თემატური ჯგუფის საქმიანობის შედეგები სრულად შეესაბამება დასახულ მიზნებს და სამოქმედო გეგმას, რომელიც მოწონებულია ეროვნული პროფესიული საბჭოს მიერ. ამავე დროს სასურველია მიღწეულ იქნას თემატური ჯგუფის მუშაობაში ჩართული დაინტერესებული მხარეების წარმომადგენელთა მაქსიმალური აქტივობა და მათი მხრიდან საკითხების ინიცირება.

რეკომენდაციები:

- დაიგეგმოს და ინტენსიურად განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის სხვადასხვა სახის ტრენინგები, რომლებიც ხელს შეუწყობს ხარისხის გაუმჯობესებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მთლიანად პროფესიული განათლების სისტემაში

დანართები:

1. თემატური ჯგუფის წევრთა სია

დანართი

თემატური ჯგუფი - ხარისხის მართვა პროფესიულ განათლებაში

თემატური ჯგუფის წევრთა სია

2012 წლის ივლისი

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია	თანამდებობა	ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი
1.	მარინა ჟვანია	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსი, თემატური ჯგუფის ხელმძღვანელი	marina.zhvania@eqe.ge 577 27 88 41
2.	ლალი შაიშმელაშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის უფროსის მოადგილე	Lali.shaishmelashvili@eqe.ge 577 27 88 49
3.	ქეთევან ფანჩულიძე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების სამმართველოს უფროსი	k.panchulidze@eqe.ge 577 27 88 43
4.	ნანი დალაქიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	nani.dalakishvili@eqe.ge 577 17 55 77
5.	ლალი ღოღელიანი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	დეპარტამენტის უფროსი, პროფესიული	lali_gtu@gtu.ge

			განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი	599 70 44 99
6.	ანა მჭედლიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი	a.mchedlishvili@mes.gov.ge 577 15 33 05
7.	ლალი ებანოიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი	lebanoidze@mes.gov.ge 577119984
8.	ანი ქიტიაშვილი	ETF პროექტის - ”პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და სტანდარტების განვითარება საქართველოში”	ეროვნული კოორდინატორი	kitiashvili@yahoo.com 577 53 00 63
9.	მაკა კორძაძე	სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	საგანმანათლებლო პროგრამებისა და განათლების აღიარების სამსახურის სპეციალისტი	Maka.kordzadze@eqe.ge 577 27 88 21
10.	მაია ჩიხლაძე	საზოგადოებრივი კოლეჯი ”პანაცეა”	დირექტორის მოადგილე	chikhladzemaia@yahoo.com 577747444
11.	ნინო ჟვანია	ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი	Nino.zhvania@iliauni.edu.ge 577 55 69 88

12.	რუსუდან ჩართოლანი	ა(ა)იპ - თბილისის პროფესიული კოლეჯი "იკაროსი"	დირექტორი	rusiko.72@gmail.com 577 900 405
13.	ნინო კოპალეიშვილი	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის	საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსი	nkopaleishvili@yahoo.com 577 15 33 01
14.	კოტე ჩოკორაია	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი	kote.chokoraia@eqe.ge 577278883
15.	თეა კვინტრაძე	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი	დირექტორის მოადგილე	tkvintradze@tpdc.ge 577 40 46 51
16.	აბდულ კახიძე	ა(ა)იპ - ბათუმის საზღვაო აკადემია	ხარისხის სამსახურის უფროსი	a.kakhidze@bsma.edu.ge 599 513 593
17.	ნუგზარ ჭინჭარაული	საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირი	თავმჯდომარე	chincharauli@pstug.ge 577 15 80 10
18.	თამარ ვეფხვაძე	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი	tatavepkhvadze@yahoo.com 577 94 70 06
19.	სალომე კვირიკაძე	საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატა	მომსახურების ოფიცერი	245 75 68
20.	ნანა ნამგალაძე	პროფესიული კოლეჯი "მერმისი"	ხარისხის მენეჯერი	sershot@yahoo.com 5 77 95-95-92